

საგრანტო პროექტის ხელშეკრულების ნომერი FR/88/9-220/14

პროექტის ხელმძღვანელი - ნათელა დვალიშვილი

წამყვანი ორგანიზაცია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

1. პროექტის განხორციელების (მიმდინარეობის) მოკლე აღწერა:

საგრანტო პროექტის მიზანი იყო საქართველოს ტერიტორიაზე მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების (მსნ) რაოდენობისა და მორფოლოგიური შემადგენლობის დადგენა, საიმედო მონაცემთა ბაზის შექმნა და კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება. პროექტის მსვლელობის პერიოდში ექსპედიცია-მივლინებების საფუძველზე, შემუშავებული მეთოდოლოგიის დახმარებით (გრავიმეტრული და თეორიული ანალიზი) დადგენილია საქართველოს ყველა რეგიონში (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარდა) წარმოქმნილი მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობრივი და მორფოლოგიური შემადგენლობა ორი კატეგორიის ობიექტებისათვის:

1. საცხოვრებელი –კეთილმოწყობილი და არაკეთილმოწყობილი;
2. კომერციული/სახელმწიფო – რესტორნები, სასტუმროები, ოფისები, სავაჭრო ცენტრები და სხვა.

2. პროექტის შედეგი და ეფექტი:

ჩატარებული კვლევების საფუძველზე პირველად საქართველოში:

- მიღებულია უნიკალური მონაცემები მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობისა და მორფოლოგიური შემადგენლობის შესახებ;
 - იდენტიფიცირებულია მსნ-ის 10 ძირითადი ფრაქცია: მინა, ქალაღი, მეტალი, პლასტმასი, პამპერსი, რეზინი/ტყავი/ტექსტილი, ხე, წვრილი ფრაქცია, სახიფათო ნატჩენები, საკვების ნარჩენები და განსაზღვრულია მათი წილი მსნ-ის ჯამურ რაოდენობაში;
 - შესწავლილია მსნ-ის მორფოლოგიური შემადგენლობა მოსახლეობის ცხოვრების დონის მიხედვით და დადგენილია,რომ ცხოვრების მაღალი დონის მქონე მოსახლეობას შეაქვს განსაკუთრებულად დიდი წილი მსნ-ის დაგროვებაში;
 - დადგენილია, რომ წარმოქმნილი მსნ-ის ძირითადი წილი მოდის ქალაქის მოსახლეობაზე, სადაც ძირითადია საკვების ნარჩენები და მაკულატურა. სოფლის მოსახლეობის მსნ-ში კი ძირითადი წილი მოდის წვრილ ფრაქციაზე;
 - შემუშავებულია ნარჩენების აღრიცხვის ოპტიმალური მეთოდოლოგია საქართველოს პირობებისათვის;
 - შექმნილია საჯარო და სრულყოფილი მონაცემთა ელექტრონული ბაზა;
 - მოსახლეობა აგტირების საფუძველზე მოტივირებულია მსნ დახარისხებისათვის;
 - შემუშავებულია რეკომენდაციები საქართველოში ნარჩენების მართვის სფეროში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით:
- ✓ ქვეყანაში დიდი რაოდენობით წარმოიქმნება საკვები ნარჩენების ფრაქცია, შესაბამისად , მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 2016 წლის 1 აპრილს დამტკიცებული "ნარჩენების მართვის 2016-2020 წლების სამოქმედო გეგმასა და 2016-2030 წლების სტრატეგია"-ში არ განიხილება საკვები ნარჩენების ცალკე ფრაქციად გამოყოფა, ჩატარებული კვლევის შედეგები ადასტურებენ აღნიშნული ღონისძიების მაღალ პოტენციალს. შესაბამისად საქართველოს

პირობებისათვის მეტად რაციონალურია აღნიშნული ფრაქციის გამოყენება აგრარულ სექტორში;

- ✓ საქართველოში წარმოქმნილი მსნ დაახლოებით 40 % წარმოიქმნება კომერციული და საწარმოო ობიექტებიდან, აქედან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანია სორტირების ღონისძიებების დაწყება ამ ობიექტებში;
- ✓ "ნარჩენების მართვის 2016-2020 წლების სამოქმედო გეგმასა და 2016-2030 წლების სტრატეგია"- ში აღწერილი ღონისძიებების დაწყებისათვის (სორტირება წარმოქმნის წყაროსთან) მნიშვნელოვანია მინიციპალური სამსახურებში გამოყოფილიყოს თანხა საჭირო რაოდენობის და ტიპის კონტეინერების და ტექნიკის შეძენისათვის, ჩატარდეს სააგიტაციო ღონისძიებები ტელევიზიის და პუბლიკაციების მეშვეობით განხორციელდეს მოსახლეობის წახალისება მუნიციპალური სამსახურების მხრიდან;
- ✓ ჩატარებული კვლევა ნათლად გვიჩვენებს ნარჩენების მართვის სფეროში სამეცნიერო კვლევითი პროექტების აუცილებლობას.

3. განხორციელებული პროექტის გავლენა მიმართულების სფეროზე ან მის განვითარებაზე:

განხორციელებული პროექტი უდაოდ დადებით გავლენას მოახდენს ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესებზე, კერძოდ მიღებული შედეგების გამოყენებით შესაძლებელია მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების ოპტიმალური ტექნოლოგიების შერჩევა, რაც ხელს შეუწყობს იაფი მეორადი ნედლეულის გამოყენებას, ახალი გადამამუშავებელი ქარხნების ამუშავებას, ნაგავსაყრელებით დაკავებული ფართობების შემცირებას და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკის ამაღლებას და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საქართველოში ნარჩენების თვისობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობის შესახებ რეგიონების მიხედვით მიღებული რეალური სურათი წარმოდგენილია ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში: <http://ecohydmnet.ge/narchenebi.html>

პროექტის ხელმძღვანელი :

(სახელი და გვარი)

